საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 906/01
02/02/2022

906-01-2-202202021604

შპს „უოლნათს.ჯის“ გენერალურ მენეჯერს,
ბატონ გიორგი ქადარიას
მის: ქ. თბილისი, თარხნიშვილის ქ. N16
ელ.ფოსტა: gm@walnuts.ge

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 30 დეკემბერს N24387 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. პალდოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის და წყალშემკრები რეზერვუარების ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ ცხრილში (ცხრილი 3.7: სატუმბი მოწყობილობის სპეციფიკაციები) მოცემულია წყალამღები ტუმბოს წარმადობა - 100 $м^3$, თუმცა არ არის მითითებული დროის ერთეული. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს, წყალაღების ტუმბოს წარმადობა;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტით გათვალისწინებული წყალაღების მოცულობაა 5 ლიტრი წამში, ამასთან, მაქსიმაური წყალაღება დაგეგმილია ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში, რაც შეადგენს თვეში 31,000 $м^3$-ს. 5 ლ/მწ წყალაღების შემთხვევაში თვის მანძილზე შესაძლებელია 13,392,000 ლიტრი წყლის აღება, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია 31,000 $м^3$ წყლის რაოდენობაზე, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „მდინარე იორიდან ზედაპირული წყლის ამოტუმბვა და რეზერვუარის შევსება განსაზღვრულია კვირაში ერთხელ 3.345 $м^3$ ოდენობით”, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება განცხადებაში წარმოდგენილ თვვეების მიხედვით ასაღები წყლის რაოდენობას, დაზუსტებას საჭიროებს მდ. იორიდან წყლის აღების ჯერადობის შესახებ ინფორმაცია.
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პროექტის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც ძირითადად წარმოადგენს ლითონის მილების გამოუდეგარ ნაჭრებსა და მათი შედუღებისგან წარმოქმნილ ნარჩენებს“, თუმცა სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო

ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემა უკვე მოწყობილია, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის ეტაპზე აღნიშნული ნარჩენის წარმოქმნის საკითხი;

- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ (მაგ: საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ფილტრები);
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული, შპს საქართველოს სახელმწიფო მელიორაციის მილზე დაერთების წერტილის GPS კოორდინატები (N46035265,0609 - E541031,3434) არ შეესაბამება საპროექტო ტერიტორიას და საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს, თითოეულ რეზერვუართან განთავსებული სატუმბი მოწყობილობების და საფილტრაციო მანქანა-დანადგარების დაშორება უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე, და მათ მიერ გამოწვეული ხმაურით ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- შესწორებულ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია, ერთიანი ცხრილის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე